სახალხო გაზეთი

№ 1196 ოთხშაბათი, 28 მაისი 1914 წ. № 1196

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტ ი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 3 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

უწმინდესი სინოდის ქართლ-კახეთის კანტორა ამითი აცხადებს, რომ 28 მაისს, საქართველოს ექსარხოსის ყოვლად

უსამღვდელოესის ალექსის

გარდაცვალების მე-9 დღეს და საქართველოს ექსარხოსის

ყოვლად უსამღვდელოესის ნიკონის

გარდაცვალების 6 წლის თავზე გადახდილ იქმნება საარქიელო წირვა ექსარხოსის კარის ეკლესიაში, საქართველოს საექსარხოსოს დროებით მმართველ **ერევნის ეპისკოპოსის პიმენის მიერ**, ხოლო სიონის საკათედრო ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო **ანტონის** მიერ, წირვის შემდეგ გადახდილ იქმნება პანაშვიდი ყოვლად უსამღვდელოესს ალექსისა და შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესს ნიკონის სულის მოსახსენებლად სინოდის კანტორაში.

ივანე; თომა და ვასო; ელისაბედი, მარიამი და ნინო, ოსება, ნიკოლოზი, მარიამი, ელენე და არჩილი გოგინაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი თავისი დედის, მეორენი დედამთილის და მესამენი თავისი ძვირფასი დიდედის

ანნა სოლომონის ასული გოგინაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ სახლში, ბაგრატიონის ქ. № 14. გამოსვენება ხუთშაბათს 29 მაისს ანჩისხატის ეკლესიაში და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. —392—

ტფილისის ქართული დრამატიული
საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ

ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი
ყრილობა

გადაიდო 8 ივნისისათვის. ყრილობა შესდგება ქ. ტფილისს, ქართულს თეატრში, **კვირას**, 8 ივნისს, 1914 წ. დღის 12 ს. **ყრილობაში მონაწილეობა გადამწყვეტი ხმით შეუძლიანთ:**

1) ქართ. დრამატ. საზოგადოებათა წარმომადგენელთ.
2) ქართ. დრამატ. წრეებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს.
3) მსახიობთა და სცენის მოყვარეთ.
4) სცენის მოღვაწეთ, რომელთაც კი რამე დამსახურება მიუძღვით თეატრისადმი, ან რამე დამოკიდებულება აქვთ მასთან.
5) მომხსენებელთ, რომელნიც რამე მოხსენებას წარმოადგენენ პროგრამაში აღნიშნულს კითხვებზედ.
6) მუსიკოსთ, მოქანდაკეთა და მხატვართ.
7) დრამატურგებსა და მთარგმნელებს.
8) ბეჭდვით ორგანოთა წარმომადგენლებს.
9) დრამატიულ საზოგადოებათა წევრებს.

ყოველი წევრი იხდის: მსახიობნი და სცენის მოყვარენი—1 მ., დანარჩენნი—2 მ. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ პირადად და წერილობით ტფილისის დრამატ. საზოგად. კანტორასთან არსებულს მიმღებ კომისიაში **პირველ ივნისამდე**. ამ დრომდისვე მიიღება ყველა მოხსენებანი. 1193

ახალი კლუბი

(საზამთრო თეატრი)

ოთხშაბათს, 28 მაისს, გაიმართება

კონცერტი

დიდი სიმფონიური ორკესტრისა, **ევა ბრაუნელის** ხელმძღვანელობით. პროგრამაში შედიან შემდეგი თხზულებანი: ბეტხოვენი, მორისა რაველი, სიბელიუსი და შუბერტი.

II

მოყვარულთა **ჯგუფი** დრამატიული ხელოვნებისა, დაარსებული ახალ კლუბთან დასდგამს **სპარსულ პანტომიმას** (მუნჯური სცენები) დადგმა და ცეკვა თვით ნ. გ. ბეგთაბეგოვისა, მუსიკა კნ. თამარა ვახვახიშვილისა. მონაწილეობას მიიღებენ: შახი.... კ. ტურისტი. თ-დინ. გ. ბეგთაბეგოვი. პირველი ქალიშვილი ქ. მარგარიტა. მეორე ქალიშვილი ა. დ. ლ. ევნუხი ნ. გ. კ. სარდლები, დედაკაცები და ბავშვები.

ცეკვა: ცეკვა ქალებისა კნ. ნ. მ. ანდრონიკაშვილისა, კნ. თ. დ. ჯორჯაძისა, ქ. ტატოევისა, ქ. გოლიევისა. ცეკვა ქალებისა ვ. ა. არკადიევისა, ო. ვერინა, ე. მ. იურიევისა. ცეკვა ჩარახლინისა შეასრულებს კნ. მ. ვ. ოლოყაშვილისა. ცეკვა ლიტაიერისა შეასრულებს ქ. გოლიევისა. ცეკვა ლისა შეასრულებს ა. დ. ლ.

დირიჟორი **ევა ბრაუნელისა.**

ადგილების ფასი პარტერში 50 კ.—2 მ. 50 კ., ლოჟები: ბენუარი—4 მ., პირდაპირი—2 მ. 50 კ., გვერდებისა—2 მ., დასაწყისი სად. 9 საათ. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელს კაცები 50 კ., ქალები და სტუდენტები—25 კაპ.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

გაცემულ სესხზე იღებულობს **წელიწადში მხოლოდ** 11%, აქ შედის შენახვისა და დაზღვევის ხარჯიც.

ლომბარდში მუშაობა სწარმოებს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 ს-მდე. სესხს, რაოდენობის მიუხედავად, დაუბრკოლებლად აძლევენ.

გამოსყიდულს გირაოს დაუყოვნებლივ უბრუნებენ.

თებერვლის 15 ლომბარდი გადადის მელიქ-აზარიანცის სახლში, ოლღას ქუჩაზე, ვერის დაღმართთან. 1150

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ვრებით ავადმყოფთა მიიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791.

სანატორიუმი
„რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

გულხუტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებათ ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მერძეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 120—200 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეზრაბიანცს,** აბასთუმანში. ზღვის ზედაპირიდან 1278 მეტრ. ტფ. გუბერ. 1087

გორის პირველი კერძო
სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა კვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუხნერი მ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11$^1/_2$ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11$^1/_2$ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

მაზაძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ. **რჩევის საფასური—50 კაპ.**

წამლობა „914" და „606". 1023

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12$^1/_2$—1. ს. **ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე, 11—12. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11$^1/_2$—12$^1/_2$. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ზ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12$^1/_2$—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიკალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ფსიქ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოიევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12$^1/_2$—1$^1/_2$.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი მ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2$^1/_2$.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11$^1/_2$—12$^1/_2$.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1070

ქუთაისის ქალაქის თეატრი

შაბათს, 31 მაისს,

გ. გერონტი ქიქოძე

წაიკითხავს **ლექციას** შემდეგს თემაზე:

როდენი და მენიე.

ლექციის დროს ზუნდლოვანის ფარნით ნაჩვენები იქნება შემდეგი ნაწარმოებები:

1) **როდენი:** ვიქტორ ჰიუგო, ომის გენია, ოცნება, ფავნი და ნიმფა, ყმაწვილი ვაჟი და ქალი, აზრი, პარკი და ყმაწვილი, მოხვევნა (ორი ვარიაცია), მშვიდობით, დანაიდა, ხელები, მოაზროვნე, მადამ სემპსონი, რომეო და ჯულიეტა, ქარიშხალი, აპოლონი, კრიტიკოსი ყეფრუა, პირველი განშორება, დამჭკნარი მშვენიერება, პიგმალიონი და გალატეია, ევა, კარიატიდა, ნიობეია, სფინქსი, ამოცანა, კალეს მოქალაქენი, სასოწარკვეთილება, ცხვირგატეხილი მამაკაცი, მუდმივი გაზაფხული, ტვირთ-მძიმე, ბალზაკი, იკაროსი, ხელი ღვთაებისა, კოცნა, მუდმივი კერპი.

2) **მენიე:** მუშის ბიუსტი, მაღაროდან ამოსვლა, მთა-მადნის მუშა, მუშა წყლის სმის დროს, დაკარგული შვილი, მკა, მრეწველობა, მაღარო, ნავთსადგური, მთესავი.

ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

ხუთშაბათს, 29 მაისს, ქართულ დრამატ. დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება:

დუელი,

კომედია 1 მოქ., გად. ნ. გალუსტოვის მიერ.

2) **სიმართლე,** შარჟი 1 მოქ. თარგ. მ. ქორელისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ჩერქეზიშვილი ე. ბ-ნნი: აბაშიძე ვ. ბეგლარიძე ბ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი, ა., ქორელი მ. ხონელი შ. ◆ დასაწყისი სად. 9 ს. სტუმრ. იხდიან კლუბში შესვლისთვის. ჩვეულებრივ ყოველ დღე ბაღში უკრავს რუმინული ორკესტრი **კოგაჩის** ხელმძღვანელობით სად. 10 ს. ღამის 3 ს.-დე. 1211

დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს 28 მაისს, გაიმართება

დიდებული წარმოდგენა,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს დაჯილდოვებული დასი **ქ-ნ ლიადის** გამოსვლა მავთულზე, გამოსვლა გიუმაე—გროტესკ მხედარი ქალის ქ-ნ სამბიოზისა, გუნების და განწყობილ. შემქნელის ბ-ნ შიტსონის გამოსვლა. უშიშარ ჰაეროვან გიმნასტების ბ-ნთ ერიკსონების გამოსვლა. უბელო ცხენს გამოიყვანს ქ-ნი ელენე იუპატოვისა. გამოსვლა ყველასათვის საყვარელ ექსცენტრიკების როზეტებისა. დამსახურებულ აკრობატების როსინების გამოსვლა და სხვა.

ა ნ ო ნ ს ი: ხვალ პირველი გასტროლია ერთად-ერთი მცირე-წლოვან ქალ-მხედრისა ქ-ნის მატილდასი, რომელიც პეტერბურგის ცირკ „მოდერნი"-დან ჩამოვიდა. პირველი დები უტი მოცეკვავე სიმბოლისტკებისა შეასრულებენ ტანგოს, ფურლანგუს და სხვა.

ცირკის დირექტორი **ფ. იუპატოვი** გამგე **ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8$^1/_2$ ს. 393

ღარიბ მოწაფეთა შემწე
ტფილ. გუბ. თავად-აზნაურთა საზოგადოების
წევრთა წლიური კრების
გაგრძელება

შესდგება დღეს, ოთხშაბათს 28 მაისს საღამოს 7$^1/_2$ საათზედ

დეპუტატთა საკრებულოში.

თავმჯდომარის ამხანაგის და კომისიის ხუთი წევრის ასარჩევად. 1232

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.

ფასი ერთი მანეთი

ვინც არა ნაკლებ 5 ცალისას იყიდის ან დაიბარებს, დაეთმობა 20 პროც. წიგნის გამოწერა შეიძლება ამ ადრესით:

ადრესი: **Тифлисъ Книж. магазинъ О-ва грам. ср. гр. рас.** 1072

ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები:

ვეფხის ტყაოსანი. ყდიანი ტფ 1903 წ.	1 მ.—
იგივე ქართვ. გამოც. 1888 წ. ყდით	11—65 კ.
იგივე. საუკეთესოდ დაკაზმ.	17—
გრდემლი. სალიტ. კრებული I. 1912	1—50
იგივე 1912 წ.	1—50
ვეფხის ტყაოსანი ინგლისურ ენაზე	6—
იგივე, გერმანულად ნათ. ლეისტის მიერ . . .	1—5
ქართვ. პოეტების ლექსები. ნათ. მისივე . . .	
ქართვ. ხალხ. გერმან. მ	

ადრესი: Тиф

ახლად მიღებული წიგ

მარრი ნ. Замѣтки по текст
писанія въ древнихъ пе
Грузинъ и Арм.
— Яфетическіе эл
— ალაპნი ჯვარი
რუსალიმს
კარიჭაშვილ
ფრონელი
ა. ჯორ
ელ

ძმ. ჯავახოვებისა და ამხ.
საფართლო მაღაზიაში
შუა ბაზარი, მანთაშევის მამულში № 71, 72, 73. ტელეფ. № 793.
20 მაისიდან 7 თიბათვემდე დანიშნულია
არაჩვეულებრივი იაფი ვაჭრობა
მაუდეულისა, შალეულისა, აბრეშუმეულისა და ბამბეულის საქონლისა. 1220

15 ივნისიდან 15 აგვისტომდე
მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის მიერ
სოფელ კარაკლისში (ერევნის გუბერნია),
გაიხსნება უფასო კურსები
მერძეობისა და მესაქონლეობისა.
ცნობების მისაღებად უნდა მიჰმართოთ ტფილისში, მესაქონლეობის საინსტრუქტორო ორგანიზაციის კანტორაში (გრიბოედოვის ქუჩა № 5, ეზოში), დილის 9—11 საათამდე. 399

საბურთალოზე
მშვენიერ ადგილას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ჟანდარმის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1078

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის
სამკურნალო
ქალ. ბაქოში
მუდმივ საწოლებით:
სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.
ფასი მორიგებით.
ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ექიმი ზ. ნ. მაზაკიანი
გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № 38.
შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლევების ავადმყოფობანი. ელექტროთერაპია იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი ქალების ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12, აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 1011

ქ. გორში
ექიმი (დოკტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი
ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტ. და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამდე. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1060

ვასწავლი
ქართულ
„სიმღერა - გალობას“
მიღება და ჩაწერა
მიხეილ კავსაძესთან
სამშ., პარასკ. 5—8, კვირაობით მუშებისათვის 3—6 ს. ვისაც გუნდი მოწვევა ჰსურს, ვთხოვთ პირადათ მომმართოთ. ადრესი: ჩერქეზიშვილის, ანუ ავჭალის ქ. № 29, სამოქალაქო სკოლის შენობაში. 1228

ლინის უნივერსიტეტის
ცინის დოქტორი
ბრაგიანცი
უმ „რუხულა
ოუმანში,
ავადმყოფებს.
და გულის
თვის შე
ნევმო-
ობა

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე. მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ. ეხსპერიმენტის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სფოსტო განყოფ. პირდაპირ.

სომხური პრესა

სომხური საკითხის განხილვამ სათათბიროში დიდი კამათი გამოიწვია სომხურ პრესაში. ეს კამათი ახლაც არ მიწყნარებულა. „ჰორიზონი“ ეხება ბაქოს დეპუტატ ჯაფაროვის სიტყვას და სწერს:

„ჩვენ გვინდა აგრეთვე, რომ ოსმალეთის მთავრობა თითონ აწარმოებდეს და ჭკვიანურად თავის შინაურ პოლიტიკას ისე, რომ არ იყოს საჭირო სხვისი ჩარევა. მაგრამ ისტორიული და პოლიტიკური მოვლენანი არ ხდებიან კეთილ სურვილების მიხედვით.

ჯაფაროვს რომ გახსენებოდა არა როგორც მაჰმადიანს, არამედ როგორც ადამიანს აბდულ ჰამიდის ინკვიზიცია, განსაკუთრებით სომხების მიმართ, ან და ანტიკონსტიტუციონური მოქმედება „კონსტიტუციონალური ოსმალეთში“,—მაშინ მას არ შეეძლო გამოსულიყო ოსმალეთის საქმეში სხვისი ჩარევის წინააღმდეგ, თუ კი მოიგონებდა, რომ სხვისი ჩარევა ოსმალეთის საქმეებში ხშირად სასარგებლო იყო მათთვის. შეუძლიან თუ არა ჯაფაროვს წარმოიდგინოს რა მოუვიდოდა ოსმალეთს, რომ ევროპის სახელმწიფოებს არ მიეღოთ ზომები და არ შეეჩერებინათ გამარჯვებულ ბალკანეთის წინ სვლა.

იმისი თქმა, რომ სომხური საკითხი ოსმალეთის შინაური საკითხია, იმას ნიშნავს, რომ დაეთანხმოს ადამიანი ოსმალეთის სომხობის მოძულე პოლიტიკას, დარბევის, ჟლეტის, ძალდატანებითი ემიგრაციის და სხ. თუ კი ჯაფაროვს ეს ჰსურს, მაშინ ჩვენ,—გვაპატიოს,—ვეტყვით ერთ რამეს: ის არაა წევრი ოსმალეთის პარლამენტის და უნდა ესმოდეს, რომ ორმოცი წელიწადია რაც სომხური საკითხი ითვლება საერთაშორისო საკითხად და რომ რუსეთის მთავრობამ პირველმა იკისრა ზოგიერთი ვალდებულება სან-სტეფანის ტრაქტატის შემდეგ. ეს არ უნდა დაივიწყოს დეპუტატ ჯაფაროვმა. თუ კი ეს არ იციან ჩვენმა დეპუტატებმა ამის მიზეზია მათი უცოდინარობა სომხურ საკითხის შესახებ:

რაც შეეხება დიპლომატიისადმი უკმაყოფილებას ამაზე ჯაფაროვს კი არა, სომეხ დეპუტატს უნდა ელაპარაკნა, რადგან ხშირად ტანჯულ ელემენტად, დიპლომატიის წყალობით სომხის ხალხი გამოდის“.

სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშ. პეტერ. სააგენტო)

24 მაისის სხდომა.

ანქო თავმჯდომარეობს.

რთა ლოჟაში ვაჭრობის მი- სახილველია ვაჭრობის ჯთ-აღრიცხვა. ვას კითხულობს.

პროტოპოპოვი. მრეწველობის განვითარებისთვის თავისუფალი თანხაა საჭირო. საჭიროა ხელი შევუწყოთ უცხოეთის კაპიტალის ზრდას რუსეთში. მთავრობა კი გზას ულობავს აქციებზე დამფასებელ ახალ წარმოებათა შექმნას. მთავრობას ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ კაპიტალი საერთაშორისოა. მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა სააქციონერო წარმოებაში ჩვენი ფონდების კურსი სამს დღეში ერთ მილიარდ ნახევარ მანეთით დასცა. მთავრობას უნდა ახსოვდეს, რომ უცხოეთის კაპიტალი თანდათანობით ეროვნულ საკუთრებად ხდება. მრეწველობის საქმეს მწარმოებელთა სინდიკატები აბრკოლებენ. მთავრობა უნდა ებრძოდეს ამ მოვლენას, რომლითაც მწარმოებლები განგებ ასწევენ ხოლმე ფასებს. უწყება ნაყოფიერად მუშაობდა მუშათა დაზღვევის საკანონმდებლო საქმეში, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრო ხშირად მტრულად ეგებებოდა ასეთ კანონებს. მინისტრთა საბჭოს უახლოესი მიზანია—მუშათა მთელს პოლიტიკას სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროში მოუყაროს თავი.

ტულიაკოვი. ვაჭრობის სამინისტროს ამ უკანასკნელ წლებში არაფერი გაუკეთებია მუშათა საქმისათვის. მუშათა დაზღვევის კანონები ყოვლად უვარგისია და მისი ასრულების დროსაც უკანონობა ხშირად ხდება. მუშებისათვის მხოლოდ ერთი კანონი არსებობს, ეს გახლავთ—უკანონობა.

ტიტოვი. რუსეთის ცხოვრება დიდის ნაბიჯით წინ მიდის. თუ 1908 წ. თითო სულზე შემოსავალი უდრიდა 96 მანეთს, 1913 წელს ეს შემოსავალი 114 მანეთამდე გაიზარდა. 1907 წელს გარეშე ქვეყნებიდან მთელი აღებმიცემობა უდრიდა 1,900,000 მანეთს 1913 წელს კი 2,913,000 მანეთი იყო.

რუსეთის მკვიდრთა მსყიდველობითი შესაძლებლობა რყევაშია, იგი ბევრად დამოკიდებულია ბუნების მოვლენაზე, საკმარისია ორი-სამი მოუსავლიანი წელიწადი, რომ მსყიდველობითი უნარი თვალსაჩინოდ შემცირდეს. ამისათვის საჭიროა რუსეთმა გზა აუქციოს ხორბლეულობის კულტურას და უფრო ნაყოფიერ კულტურას მოჰკიდოს ხელი.

დემჩენკო სურვილს გამოსთქვამს, რომ მთავრობამ მოაწყოს მოკლევადიანი და გრძელვადიან სამრეწველო სესხის გაცემის საქმე, და ამითი ხელი შეუწყოს აღებმიცემობით გაფართოვებას მახლობელ აღმოსავლეთში, სპარსეთში, მონღოლეთსა და ჩინეთში. ამავე საქმისათვის გააუმჯობესოს მიმოსვლის გზები და ბაჟებიც შეღავათიანი შემოიღოს.

შინგარევი. მუშათა საკითხი რუსეთში ყოვლად საძაგელ მდგომარეობაშია. მუშებს საშუალებას უსპობენ, რომ ლეგალურად იბრძოლონ თავისუფლებების მოსაპოვებლად, ამის გამო მათ არევოლუციონერებენ. უკეთეს პირობებში არ იმყოფება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავე ორი მილიონი ხალხი. მათი დასვენების კანონპროექტი აჩრდილს დაემსგავსა. მათი დაქირავების პირობათა კანონ-პროექტი ხომ ვიწრო-კლასიურ ინტერესებისაკენ გადიხარა (მარცხნივ ტაში). ამავე უფლება აყრილ კლას ეკუთვნიან ებრაელებიც. რუსეთის მოქალაქეთა ასეთი უფლება აყრილობა იწვევს უნდობლობას, რომელიც აფერხებს რუსეთის განვითარებას და ნიავქარს აძლევს ეკონომიურს ცხოვრებას (მარცხნივ ტაში).

ვაჭრობის მინისტრი ლაპარაკობს მუშათა კანონმდებლობაზე, სააქციონერო კომპანიებზე, მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობაზე. ტულიაკოვს უპასუხებს, მუშათა დაზღვევის საქმეზე სამინისტრო ძალიან ნაყოფიერად მუშაობს, სხვა პროექტებსაც საშურად იმუშავებს. შინგარიევის პასუხად მინისტრი ამბობს: მართალია მუშათა მოძრაობა იზრდება და უფრო პოლიტიკურს ელფერს ღებულობს, მაგრამ ამისი მიზეზი სნეული აგიტაციაა, რომელსაც ჰსურს რაც შეიძლება მეტი არეულობა გამოიწვიოს. ეკონომიურ გაფიცვის დროს კანონი ნათლად განმარტავს სავაჭრო უწყების მოვალეობას; ეს მოვალეობა არის მოპირდაპირეთა მორიგება ხოლო პოლიტიკური გაფიცვა კი სხვა უწყებას ექვემდებარება. მუშათა დასვენების კანონი მხოლოდ სავაჭრო სამინისტროსაგან არ არის დამოკიდებული, მას საკანონმდებლო დაწესებულებაში აქვს სათავე. მუშათა დაქირავების კანონ-პროექტი სახ. საბჭოს უარყოფის შემდეგ, სათათბიროს ინიციატივით კვლავ ამუშავებს მთავრობა. უცხოეთის კაპიტალის მოსაზიდად საჭიროა კაპიტალისტები დავარწმუნოთ, რომ მათი ფული ხანგრძლივ და მოგებით დატრიალდება. როდესაც ნავთის ნაკლებულობა იყო, მთავრობამ ნება დართო საზღვარ-გარეთიდან უბაჟოდ შემოეტანათ ნავთი. მინისტრი ბოლოს ამბობს, რომ 1911 წელს სათათბიროში წარვადგინე ვაჭრობის სამინისტროს მოწესრიგების კანონ-პროექტი, რომელიც დღევანდლამდე განუხილველია და სთხოვს სათათბიროს მალე განიხილონ იგი და ამითი ხელი შეუწყონ მას მოღვაწეობის განვითარებაში. (მარჯვნივ და ცენტრში ტაში).

ბადაევი სამინისტროს მუშათა კანონმდებლობის საქმეში სრულებით არა გაუკეთებიარა. სამინისტრო მხარს უჭერს მრეწველთა ორგანიზაციას, მრეწველთა ლოკაუტს გზას აძლევს, მუშათა გაფიცვას კი სდევნის. მისის აზრით, მუშებმა თვითონვე უნდა უპატრონონ თავის თავს.

შემდეგი სხდომა სამშაბათს მოხდება.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **კოტე მესხის** გარდაცვალების გამო რედაქციამ მიიღო შემდეგი სამძიმრის დეპეშები: ტომსკის ქართველთა სათვისტომოსაგან, ვარშავის ქართველ სტუდენტობისაგან; წერილები: ცხინვალიდან ბლად. იროდიონ ოქროპირიძისაგან, კორბოულიდან სერაფ. მაჭარაშვილისაგან.

◆ ავლაბრის ქართულ სახალხო წარმომადგენების მმართველი წრის ნივთიერ ღონისძიებათა გასაძლიერებლად სეირნობა, რომელიც დანიშნული იყო 19, 20 და 21 მაისს, უამინდობისა გამო გადაიდო სხვა დროისათვის.

◆ **კ. მესხის პანაშვიდი.** შაბათს მაისის 24-ს საღამოს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილი იქმნა პანაშვიდი კ. მესხის გარდაცვალების 9 დღის თავზე. პანაშვიდს ძლიერ ცოტა საზოგადოება დაესწრო. აღსანიშნავია რომ პანაშვიდზე იყვნენ დრამ. საზ. გამგეობის მხოლოდ ერთი წევრი, და მსახიობთაგან მხოლოდ სამიოთხი კაცი.

◆ **ახალი წიგნი.** მივიღეთ ახლად გამოცემული ნაწერები გიორგი ქუჩიშვილისა ორ წიგნად. პირველში მოთავსებულია ლექსები, მეორეში პატარა ეტიუდები, მინიატურები და ნაკვთები. გამოცემა სუფთაა, დართული აქვს ავტორის სურათი, ბიოგრაფია და პ. გელეიშვილის კრიტიკული წერილი. ეს წიგნი ხელის მოწერით გამოვიდა.

◆ **ექსკურსიები.** კვირას 25 მაისს რამდენიმე ექსკურსია გაემგზავრა ტფილისიდან. ერთი ჯგუფი პრ. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაემგზავრა ჯვარის მონასტერში, სადაც ბ-ნმა ჯავახიშვილმა ლექცია წაიკითხა მონასტრის შესახებ.

მეორე ჯგუფი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჩვენი პოეტი **იროდიონ ევდოშვილი** ზედაზენში ავიდა და საღამომდე იქ დაჰყო. იროდიონ ევდოშვილი იმდენად მომჯობინებულია, რომ ზედაზნამდე მთელი გზა ფეხით იარა. თუმცა დაიღალა მაგრამ, თავს კარგად გრძნობდა. ექსკურსიის მონაწილენი საღამოს მატარებლით ძლიერ კმაყოფილნი კვლავ ტფილისში დაბრუნდნენ. ექსკურსიები შემდეგშიაც გაიმართება ყოველ კვირა-უქმე დღეს.

◆ **ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა** ჰმართავს ორს ივნისს განსაკუთრებული ხასიათის საოხუნჯო—იუმორისტულ საღამოს. საღამოსათვის დაკავებული და მორთული იქნება საზამთრო და საზაფხულო შენობები კლუბისა და თეატრისა. გაიმართება დუქნები, კიოსკები, სამასხროები და სხვა გასართობები.

◆ **ქართულ სათავად-აზნაურო ბანკის არჩევნები.** დირექტორად აირჩიეს ისევ თ-დი ს. რ. ვახვახიშვილი (სულ იყო 111 ხმა. მიიღო 61 თეთრი კენჭი), დამფასებლად აირჩიეს კვლავ თ-დი ლ. ლ. ჩერქეზიშვილი (6 შავი კენჭი) და თ-დი ნ. დ. ერისთავი (10 შავი კენჭი). მეთვალყურე კომიტეტის წევრებად აირჩიეს გ. დ. ქურული (98 თეთრი კენჭი) ი. ი. ზურაბიშვილი (80 თეთრი კენჭი) და თ-დი ა. ნ. ჭავჭავაძე (89 თეთრი კენჭი).

◆ **ქალაქის 1914 წლის ხარჯთაღრიცხვა** საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ უკვე დაამტკიცა.

◆ **ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლაში** (გაბაშვილის შესახვევი), გაიხსნა მოწაფეთა ხელსაქმის გამოფენა. გამოფენა ყურადღებას იპყრობს, მოწაფეების ნამუშევარი იმდენად ძვირფასია, რომ ყველანი სიამოვნებით ყიდულობენ. ნივთები შედარებით ძრიელ იაფადაც იყიდება.

◆ **შოთა რუსთაველის საზოგადოების** წევრთა დამფუძნებელი კრება ამ მოკლე ხანში იქნება მოწვეული. საზოგადოების წესდება უკვე დამტკიცებულია.

◆ **ძეგლის კურთხევა.** ტფილისის ებრაელებმა ფ. ი. ლოქშის თაოსნობით ძეგლი აუგეს ტფილისის პირველ სამხედრო, სახაზინო და სასულიერო რაბინს სიმხა კარაშს, რომელიც ათის წლის წინად გარდაიცვალა და დასაფლავებულია ებრაელთა სასაფლაოზე. კვირას, 25 მაისს, განსვენებულის ძეგლი უკვე აკურთხეს მრავალ ხალხის თანადასწრობით.

◆ **სემინარიის ძველი შენობა.** ტფილისელმა ვაჭარმა არუთინ სეილანოვმა სურვილი განაცხადა სასულიერო სემინარიის ძველ შენობის ყიდვისა. სინოდმა შენობის მიყიდვაზე უარი უთხრა.

◆ **პროფ. არტემიევმა** სურვილი განაცხადა, დაიჭიროს თანამდებობა ტფ. პოლიტეხნიკუმის დირექტორისა.

◆ **სატყეო სკოლის კურთხევა.** 26 მაისს აკურთხეს ზ. გ. არჯევანიძის სკოლა ტყეში, სოფ. წოდვერში. ჯერ-ჯერობით 20 საწოლია. მეცადინეობა დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებში.

◆ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ უმწეოდ დარჩენილი **13 წლის ქალი ეძებს ადგილს** ამლაგებელ-დამლაგებლისას, ან ბავშვის გასართობად. დუშეთის ყრუ შესახვევი, 12. ჩხეიძე.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. გუბერ. თ.-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების** წლიური კრების გაგრძელება დანიშნულია დღეს საღამოს 7 ნახევარ საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, ამოსარჩევია კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი და კომისიის ხუთი წევრი.

ოზურგეთი

◆ ამ დღეებში ჩამოვიდა ქუთაისის სახელმწიფო ხაზინის გამგე ბ. სობრიევსკი და რამდენიმე შენობა დაათვალიერა მომავალი ხაზინის საჭიროებისათვის, რომელიც 1 ღვინობისთვეს გაიხსნება.

◆ მაისის პირველ რიცხვებში ოზურგეთის მაზრის უფროსი გაემგზავრა ქალაქის მოურავისა და ხმოსნების თანხლებით ს. მერიოში. ადგილობრივ მემამულეთ თავ. ნაკაშიძეთ და ქარძიძეთ აღუთქვამთ, რომ უფასოდ დაუთმობენ მომავალ რკინის გზისთვის საჭირო მიწას.

სოფლად.

◆ **ს. ახალი გავაზი** (კახეთი). 20 მაისს მწყემსებს ხახირი გადაჰპარობდათ კათოლიკების სიმინდში. პატრონებმა საქონლის გარეკვა მოიწადინეს. მწყემსმა იორდანე ხუციშვილმა ხანჯლით დასჭრა ორი მძიმედ, ერთი მსუბუქად. მეორე მწყემსი გაიქცა. ხუციშვილს თოხებით სცემეს და სიკვდილის პირად მიაგდეს.

◆ **ს. ჭიკაანი** (კახეთი). 19 მაისიდან უკვალოდ დაიკარგა 40 წლის გლეხი ხიკა მქედლიშვილი. ჯერ ვერსად უპოვნიათ.

◆ **ს. საგარეჯო.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ საგარეჯოში გიორგი მეზვრიშვილს სახლიდან გაიტაცეს ქამარი და ფული. გამტაცებელი ყოფილა არა დავით სევასტის ძე მქედლიშვილი (ზინგერის აგენტი), არამედ ლ. ა. მქედლიშვილი.

ხორცის ვაჭრობის საქმე ტფილისში

რა პირობებშია ჩაყენებული ხორცის ვაჭრობის საქმე ტფილისში და რა ღონისძიებათა მიღებაა საჭირო მის მოსაწესრიგებლად,—ამის შესახე ქალაქის გამგეობამ საკმაოდ ვრც ლი მოხსენება შეადგინა და განსა ხილველად წარუდგინს ქალაქის საბ ქოს მომავალ კრებას, რომელიც 2 მაისისათვის არის დანიშნული.

ხორცის სიძვირე—ამბობს მოხსე ნებაში გამგეობა—უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში თანდათან თვალ საჩინო ხდებოდა, ხოლო წელს ყოველს მოლოდინს გადააჭარბა და დააფიქრა ყველანი. გამგეობა ხორცის სიძვირეს უპირველესად ჰხსნის საზოგადო პირობებით, რომელშიაც ჩაყენებულია არა მარტო ტფილისი, არამედ რუსეთისა და ევროპის ქალაქებიც. გამგეობა მოხსენებაში აღნიშნავს, რომ არის ადგილობრივ საგულისხმო მიზეზებიც, რომელიც ხელს უწყობს ტფილისში ხორცის გაძვირებას. ეს მიზეზები შემდეგია ერთის ადგილიდან მეორე ადგილას საქონლის გადარეკის სიძნელე, ხელოვნური აწევა დასაკლავ საქონლის ფასისა ჩარჩ-ვაჭრებისაგან და სხვა.

გამგეობას საჭიროდ მიაჩნია აუცილებლად ჩაერიოს ხორცის ვაჭრობის საქმეში და მიიღოს ღონისძიებანი ამ ვაჭრობის მოსაწესრიგებლად. გამგეობის აზრით ქალაქის თვითმმართველობას ახლავე არ შეუძლიან ფართოდ მოჰკიდოს ხელი ამ საქმეს და პირველ ხანად შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომელსაც ურჩევს ქალაქის სასაკლაოს დირექტორი თ-დი ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი. ეს ღონისძიებანი შემდეგში უნდა გამოიხატოს:

ხორცის ნიხრი, რომელიც მიზანს არასოდეს არ აღწევს და სხვა ქალაქებში უკვე გაუქმებულია, ტფილისშიაც უნდა მოისპოს და შემოღებულ იქმნას თავისუფალი ვაჭრობა, რომლის წესიერ კალაპოტში ჩასაყენებლადაც უნდა გამოიცეს საგანგებო წესები. გამგეობა თვის მოხსენებაში საბჭოს სთხოვს, გადასცეს გამგეობისა, ან სამეურნეო კომისიის განკარგულებაში 5,000—6,000 მან. საწარმოო თანხად, რომელიც ქალაქს უკანვე დაუბრუნდება. ამ ფულით ქალაქის თვითმართველობა საკუთარ მოსამსახურეთა შემწეობით ყოველ დღე უნდა იყიდოს საქონელი, თვითვე დაჰკლას და გაჰყიდოს. ეს საშუალება გამგეობის აზრით ხელს შეუწყობს ხორცის ფასის მოწესრიგებას, თუმცა შესაძლებელია ქალაქმა იზარალოს და სულაც დაჰკარგოს საწარმოო თანხა 5,000 მან.

ქობულეთის აგ-ბარში

დიდი ხანია, რომ ბათომის ოლქის მდიდარმა ბუნებამ მიიპყრო ყურადღება მთელი რუსეთის ხალხისა. ამისთვის პირველ მამულებიდან ამ ოლქში იწყება რუსეთ გლეხთა ჩამოსახლება, 1883—4 წლებში. ბათუმ-ქუთაისის გუბერნატორმა ბ-მა სმეკალოვმა ჩამოასახლა ქობულეთში 150 კომლი რუსთა გლეხები მახლობლად დაბა ჩურუქსუში და ამ ახლად დაბინავებულ სოფელს დაერქვა ს. სმეკალოვკა. ს. სმეკალოვკა მდებარეობს შავი ზღვის პირად ორი ვერსის მანძილზედ სადგურ. ქობულეთიდგან. სიგრძით 4 ვერსია და სიგანით კი ერთი ვერსი: აღმოსავლეთიდ უდევს ისპანის ჭაობი, დასავლეთით შავი ზღვა, მარჯვნით ს. ჩურუქსუ და მარცხნით ს. ფიჭვნარი. ეს ორი უკანასკნელი სოფელი დასახლებულია ქართველ მაჰმადიანებით. სახნავ-სათესი, ტყე და საძოვარი, რუსის გლეხებს მისცეს, ეგრედ წოდებული გვარად ოჩხამურის მამულიდან, თვითეულს კომლს მიუზომეს არა ნაკლებ 18—20 დესეტინისა. 1912 წელს ისევ ქობულეთის მხარეთან, გაშენდა კიდევ რუსების სოფელი, ეგრედ წოდებული რომანოვკა. ას ორმოცდა ათი მოსახლე გლეხებიდან დღეს რომანოვკაში დარჩა მხოლოდ 20 მოსახლე, დანარჩენებმა თავის მიწები გადასცეს ინტელიგენციას. ჩურუქსუ და სმეკალოვკა წარმოგვიდგენს საუკეთესო ზღვის საბანაო კურორტს შავი ზღვის ნაპირად, რომელსაც ვერ შეედრება ვერც გაგრა, ვერც ფეოდოსია და სხვა ზღვის საბანაო კურორტები. ქობულეთში ციება ნაკლებად იცის, რადგანაც მუდამ დღე ზღვის ნიავი უბერავს და მისგან იწმინდება და სუფთავდება ჰაერი. აქაურ ისპანის ჭაობს, რომელიც უდევს ქობულეთს სმეკალოვკას აღმოსავლეთით არავითარი გავლენა არ აქვს ბუნებაზე და აქაურ ჰაერის სიმრთელეზე, რადგანაც ზღვის ნიავი მუდამ წამში სწმენდს მას და აქაური შეკრებილი ნესტიანი ჰაერი გადააქ უფრო შორს. თვითონ ქა

ა არ წარმოადგენს რამე ტალა-ან ადგილებს, არამედ არის ერთი ცელი კამკამა წყაროებით სავსე ვი, სადაც ზაფხულობით იზრდე-ა მაღალი სათიბი ბალახი. საბანაო ვის ნაპირი არის პირდაპირი და მარი, ზღვის წყალი სარკესავით წმინდაა და მარილიანი. მახლობლად ვას არ ჩამოერთვის მდინარე. რ ი-ორც ნაპირი, ისე. ზღვის ფსკერიც ფენილია საუცხოვო ფერად-ფე-დი პატარა ქვიშით (გრაფეტით). ზონი ზღვაში ბანაობის იწყება ა მაისიდან თავდება ოქტომბრის ა რიცხვებში. მიუხედავად იმი-ს, რომ ქობულეთის სმეკალოვკა რის ზედ ზღვაზედ გადამდგარი, სას-ლი წყალი (ქები) არის საუკე-თესო, ცივი და უწყინარი. ქობულეთიდგან დღეში გადის თორმეტი ტარებელელი ბათუმს და ტფილისკენ.

ზემოდ აღნიშნული ედემის მსგავსი ალაგი ეკუთნის ქობულეთელ ქვდარ ქართველ მაჰმადიანებს, მაგრამ მათდა დაუკითხავად გამოაცალეს ხელიდან, მიუხედავად იმისა, რომ თვით მკვდარნი დიდი ხანია მიწის ვიწროებას განიცდიან, მარა რას იზამს? ძალა აღმართსა ხნავსო. ასე საწყალ ხალხს პური ხელიდან გამოაცალეს, ცხოვრება გაუქირვეს. რადგანაც ადგილობრივი მცხოვრებნი დარჩენ უმიწა-წყლოდ იძულებულნი გახდნენ ემსახურონ პოლტაველ გლეხის გულის თქმას და ბრძანებას. ჰოი ან კი რა გასაკვირალია! პროხორიჩები, რომ ვიყოთ, ჩვენც ადამიანათ აგვერიცხავენ, მაგრამ ძეს და შვილს რა უყოთ, ისინი ხომ უკანონო შვილები არიან სახელმწიფოსი. ნეტავ მაინც ვიცოდე, რომ ვინმეს შევჩივლო, ეს ჩვენი გაჭივრება ტერიტორიის საკითხს შეადგენს თუ ვისი ეშმაკისას! აგერ სავსე ქართული გაზეთები მიწყვია და თითქმის ყველა ჟურის და ყველა ნომერში არის გარჩეული ტერიტორიის საკითხი, მაგრამ არც ერთი ჩემი და ჩემი მეზობლის გაჭივრებას არ ეხება. ეგ მამა ცხონებული მწერლები სწერენ-სწერენ, თავს ამტვრევენ ერთმანეთს ამ საკითხზე და ჭეშმარიტებას არც ერთი არ აღიარებს. რათ მინდა მე თქვენი ხმელი თეორია? სჯულის დოგმატები ხომ არ არის, მარტო რწმენით რომ დავემორჩილო და ეს მეყოს სიცოცხლით, ოჯახის გამოსაკვებათ. განა მე არ ვიცი, რაც მეტი ითქმის საგანზე, მეტათ შესწავლილი იქნება საგანი, მაგრამ რა! ვისიც ახსარება წავიკითხე ყველას სუხი სდის, რადგანაც მწერალი იღებს ნიშანში მარტო პარტიას და პიროვნებას ამა თუ იმ მწერლისა და ბოლოს ალილოს მაგვარად უშვერი სიტყვებით ათავებს საკითხის გარჩევას. ეგ ხომ ქართველების კიუტობა არის, რომელ სჯხს არ უდგება არც დემოკრატობა და არც ჰუიდურესი შემოეჯვენობა. რათ დაკიდყდათ, რომ ორი ეშმაკი ერთ საჯარზე (თოკზე) ვერ ითამაშებს. ჩვენს გაჭივრებას თეორია ვერ მოაშორებს. შიმშილი, აბუჩათ აგდება, ადამიანს ცუდს აფიქრებინებს. თქვენ კი არ იფიქროთ, რომ მე წინაღმდეგი ვიყო უცხო ტომის ჩვენში ჩამოსახლებისა. არა! მოვიდნენ ისინიც, დასახლდნენ, მაგრამ ერთი მეც მკითხეთ არის თავისუფალი გადარჩენილი მიწები ჩვენში? ჩემი სახლ-კარის ამავე მე უფრო ვიცი ვინემ გარეშემ. ასე საწყალ ადგილობრივ გლეხებს, საცხოვრის დასადგმელი ალაგი არ აქვთ და თქვენ კი ტოპულეს ათასობით აძლევთ. განა მე სახელმწიფოს შვილი არა ვარ. და რატომ მე არ მერგება ისევ ჩემი მამა პაპეული მიწა-წყალი? ბატონებო! ახსა ჯერ ადრეულია, მამა პაპის შეურაცხყოფა არას მოგვიტანს, ჩვენ გვინდა მხოლოდ კაცია-ადამიანი, რომელიც აღადგენს დაცემულს და ექნება ხურ მოცემული. დღეს საჭიროა მშრომელი ხალხისთვის მიწა-წყალი და ტუადლური შეწყობა. თორემ სანამ ჩვენ გამოცახას ავხსნიდეთ, მანამდინ ჩვენ ყველანი კუნჭებში დავრჩებით და ჩვენი თვალის წინ ჩვენი მარჩენალი სამშობლო გახდება სხვის სამშობლოდ, მის მაგალითები თვალწინ გვაქვს და რა საჭიროა თვალების დახუჭვა.

უსუფ ეფენდი კაიკაციშვილი.

დეპეშები

(ღ ვაჭრთა პეტერბ. სააგენტოსაგან).

26 მაისი.

უცხოეთი.

ლონდონი. ყოველ-დღე ძლიერდება მცხოვრებლების პროტესტი სუფრაჟისტი ქალების წინააღმდეგ. სუფრაჟისტებს, რომელთაც ბრომპტონის ეკლესიაში წესიერება დაარღვიეს, მკაცრად სცემეს. პოლიციელებმა ძლივს გამოსტაცეს ისინი ხალხს ხელიდან. ცემის დროს ყველაზე მეტი სიმკაცრე ქალებმა გამოიჩინეს... ილფორდში ბრბომ სუფრაჟისტ ქალებსა სცემა, რომელთაც მოედანზე მიტინგი მოაწყვეს, პოლიციელებმა ძლივს-ძლიობით დაიცვეს ისინი გაფთრებული ბრბოსაგან, რომელმაც შემდეგ მინები ჩალეწა ადგილობრივ გამოჩენილ სუფრაჟისტ ქალის ბინაზე.

გრინვიჩის ახლოს გემი „კორინთიანი“ „ორეოლის“ დაეჯახა. უკანასკნელი ჩაიძირა.

ღამით ბუკინგემის სასახლეში შეიპყრეს მუშა, რომელსაც მოსამსახურეთა ოთახები გაექურდა და მეფის საბანაო ოთახში იყო.

როდესაც მეფის ოჯახობა დოლში სამეფო ლოჟაში ავიდა, კარგად ჩაცმულმა ქალმა მეფეს სიტყვით მიმართა. მან აუწყა იმ უწესობების შესახებ, რომელიც ხდება ციხეებში სუფრაჟისტ ქალების კვების დროს. პოლიციელებმა ქალი ძალით გაიყვანეს.

პარიზი. რიბოს განზრახვა აქვს მემარცხენე პარტიებისაგან კაბინეთი შეადგინოს. განზრახულია რომ კაბინეთში შევლენ მინისტრად ნამყოფნი: ნულანსი და ვივიანი. რიბო ჰფიქრობს, რომ სამხედრო საკითხი არ არის პირველ თავშივე განსახილველი, რადგანაც კაბინეთმა არსებული კანონი ისეთივე კეთილსინიდისიერებით უნდა გაატაროს, როგორც დუმერგის კაბინეთმა.

19 მაისს გარეშე საქმეთა სამინისტროში შესდგა საფინანსო კომისიის პრეზიდიუმის კერძო თათბირი ბალკანეთის საქმეთა შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ამ კომისიის პარიზში მყოფ სატეხნიკო და დიპლომატიურ დელეგატებმა. დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს კომისია ადრე მიაღწევს მიზანს.

ვივიანმა უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე, რადგანაც გაერთიანებული რადიკალების მხრივ ოპოზიცია დაინახა სამწლიან სამხედრო ბეგრის ფორმულის შესახებ. პალატის კულუარებში ვივიანმა განაცხადა, იგი პირადი და პრინციპიალური უთანხმოების შეთანხმებას შეეცადა; მაგრამ მას არ შეეძლო გარეშე მდგომარეობისათვის ანგარიში არ გაეწია და აგრეთვე სამხედრო დროის პირობებისათვის. განსაკუთრებით იმ მომენტის დროს, როდესაც მეზობლად ყველანი საჩქაროდ შეიარაღებას ცდილობენ.

დეშანელმა უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე. პრეზიდენტმა დელკასეს მიმართა.

პეიტრალმაც უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე.

დელკასემ უარი სთქვა კაბინეთის შედგენაზე; მიზეზად ავადმყოფობა დაასახელა. შემდეგ კაბინეთის შედგენის წინადადებით ჟან დიუპუის მიმართეს, რომელმაც აგრეთვე უარი სთქვა.

ბერლინი. დაარსდა სინდიკატი უცხოეთის ცნობების მიმცემ ბიუროსი. მას მიზნად აქვს გაავრცელოს საზღვარ-გარედ გავრცელებული ტენდენციური ცნობები და გერმანიის საწინააღმდეგო გალაშქრება. აგრეთვე გაავრცელოს ცნობები გერმანიის მრეწველობისა და საკულტურო დაწესებულებების შესახებ. გარეშე საქმეთა სამინისტრო დასთანხმდა, რომ სინდიკატს 250.000 მარკა მისცეს. ამდენივე შეაქვთ გერმანიის მრეწველობის წარმომადგენლებს.

ათინა. მაჰმადიანები ქალაქ აივალის მიუახლოვდნენ. თავზარდაცემული ბერძენი მცხოვრებნი მთავრობას გემებს სთხოვენ საბერძნეთში გადასასახლებლად. 6000 ბერძენი ზღვის ნაპირებზე გემებს ელის.

ანკონა. ანარქისტებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. რამდენიმე კარაბინერი ქვებით დასჭრეს. ორი მანიფესტანტი მოჰკლეს, ოთხი დასჭრეს.

ანკონა. დილით მიტინგის შემდეგ მანიფესტანტები მუნიციპალიტეტისაკენ გაემართნენ, სადაც დროშა ჩამოაშვებინეს. მათ შეხვდათ ქვეითი ჯარის აფიცერი, რომელსაც შეურაცხყოფა მიაყენეს და თავში იოლად დასჭრეს. მას ხმალი დაუმტვრიეს. შემდეგ შეურაცხყვეს ბარსელიერების მაიორი. ღლისით გარდაიცვალა ერთი დაჭრილთაგანი გუშინდელი შეტაკების დროს. მეფის კომისარმა მოწოდება გამოაქვეყნა, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს მსხვერპლის შესახებ და აცხადებს, რომ სასამართლოს გამოძიება გამომჟღავნებს დამნაშავეთ, რომელნიც მკაცრად დაისჯებიან.

ანკონა. გუშინ მომხდარ ამბების გამო შრომის პალატამ ღამით საერთაშორისო საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა. მაღაზიები დაჰკეტეს. მუშები სამუშაოდ არ გამოვიდნენ. დილით მიტინგი გაიმართა. ზოგიერთა ორატორები საპროტესტოდ იწვევდნენ, დანარჩენები კი მშვიდობიანობას ურჩევდნენ.

რომი. შრომის პალატამ ანკონაში მომხდარ ამბების გამო საპროტესტოდ დაადგინა გაფიცვა გამოაცხადოს, რომელიც ერთ დღეს გაგრძელდება.

სოფია. ბერძნების საწინააღმდეგო მოძრაობა ატანიმაკას მოედო. ფილიპოპოლის მახლობლად ბულგარელებმა ბერძნებს სამი ეკლესია წაართვეს.

სტამბოლი. მსოფლიო პატრიარქის სასულიერო და საერობო ნაწილების კრებაზე მოსმენილ იქნა აუარებელი საჩივრები ბერძნებისა აზიაში ოსმალოების დევნის შესახებ. პატრიარქ გერმოგენის წინადადებით კრებულმა ერთხმად დაადგინა დაუყონებლივ დაჰხუროს ოსმალეთში ყველა ეკლესია და სასწავლებელი და ყველა მიტროპოლიტს შესაფერი განკარგულება ეცნობოს დეპეშით. განსაკუთრებულს კომისიას დაევალა, რომ შეიმუშაოს მიმართვის ტექსტი ყველა ავტოკეფალიურ ეკლესიისადმი, სადაც აღნიშნული იქნება საბერძნეთის ეკლესიის დევნა ოსმალეთის მხრივ.

ბუდაპეშტი. დვორეცს საზოგადოებაში მუშა ტომშიჩმა შეყვარებულის ქალის დედმამა დახოცა, ქალი მძიმედ დასჭრა. მიზეზი ისაა, რომ მშობლები ქალის მითხოვებაზე უარს ეუბნებოდნენ. მკვლელმა შემდეგ თოფები გაიტაცა და სამრეკლოზე ბარიკადები გიკეთა, საიდანაც ჟანდარმებს თოფები დაუშინა. რამდენიმე ჟანდარმი მოჰკლა. ოცი დასჭრა ტომშიჩი შეიპყრეს.

ბელგრადი. „პრეს. ბიურო“ უარჰყოფს ელბასანისაკენ 20,000 სერბიელ ჯარის კაცის გადაყვანას.

მეფის მოლაპარაკების ოპოზიციასთან სასურველი შედეგები არ მოჰყვა. ალბათ მეფე კვლავ პაშიჩს მიჰმართავს.

თეირანი. გამსესხებელ-გამნაღდებელ ბანკს სეპეხდარმა ჩრდილო სპარსეთში ვეებერთელა ტყე გადასცა იჯარით.

ტოკიო. პრესა იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საჭიროა კვანტიუნის საგენერალ-გუბერნატოროს გაუქმება, რათა ჩინელებს და უცხოელებს დაუმტკიცონ, რომ იაპონია ჩინეთის თანასწორ-უფლების და გაუყოფლობის მომხრეა, ამასთანავე მანჯურიაში შეინარჩუნებს უფლებებს თავისდაცვასთან დამოკიდებულს.

ახალი ბუხარა. ემირმა თავისი საკუთარი კონებიდან 200,000 მან. გადასდო ბუხარის გარშემო მყოფ ქაობების ამოსაშრობად. მუშაობა შემოდგომაზე დაიწყება ინჟინერ საკოვიჩის ხელმძღვანელობით. ამ ქაობების გამო ვრცელდება ყოველგვარი ავადმყოფობა, განსაკუთრებით უმური.

ჩერნოვიცი. სახელმწიფოს ღალატის ბრალდების გამო დაპატიმრებულნი ძმები გეროვსკები საპყრობილის დარაჯის დახმარებით ავტომობილით გაიქცნენ და რუსეთის საზღვარს გადასცდნენ. მათ გაჰყვათ დარაჯიც.

სარაევო. აფიცრებსა და სტუდენტებს შორის მომხდარ უკმაყოფილების გამო, სადისციპლინო სასამართლომ გამორიცხა 17 სერბიელი, 7 მაჰმადიანი და 1 ხორვატი მოწაფე. მათ უფლება არ აქვთ ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საშუალო სასწავლებელში შესვლისა. სტუდენტები აგიტაციას ეწევიან, რომ გამოცხადებულ იქნას საყოველთაო სასწავლებელთა გაფიცვა.

დურაცო. მთავრობა წინადადებას იძლევა, რომ გაგზავნილი იყოს ჯარები იმ რაიონებში, რომელსაც ამბოხება მოედო ჩრდილო კორიეელების წინააღმდეგ საბრძოლველად 10,000 მირიდიტია გაგზავნილი. დურაცოში 700 კათოლიკე მალისორი დარჩება. ჟანდარმების პოლიციამ იტალიის სამხედრო სამსახურში მყოფი პოლკოვნიკი დაატუსაღა. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია.

დურაცო. ალბანეთის მთავრობამ უარი სთქვა იტალიის წინაშე ბოდიშის მოხდაზე იტალიელების შეპყრობის გამო. სანამ საგანგებო კომისია არ განიხილავს გარემოებას.

გამოირკვა რომ დაპატიმრება გამოიწვია ავსტრიის აფიცრების დაბეზღებამ, რომელმაც განაცხადა, რომ მან დურაცოში თოფ-იარაღის ქარხანა აღმოაჩინა. 24 მაისის ინციდენტი იტალიელების შეპყრობისა თანდათან გართულდა, რადგანაც ერთი მხრით ჰოლანდიელები მოითხოვენ, რომ პოლკოვნიკი მურიკიო ბრალდებული არის, როგორც მოღალატე, რაც გამოიხატა მეამბოხეთათვის ნიშნების მიცემისათვის; მეორე მხრით კი—რადგანაც ჰოლანდიელები იტალიელებს კაპიტულიაციის დარღვევას სწამებენ. იტალიის მოთხოვნით შეპყრობილნი განთავისუფლეს. ამ ინციდენტთან კავშირით, საკონტროლო კომისიამ ვალონში წასვლა გადასდო. თურხან ფაშისა და ალიოტის მოლაპარაკებას შედეგად ის მოჰყვა, რომ ალბანეთის მთავრობამ წერილით მიჰმართა მთავრობას და მწუხარება გამოსთქვა მურიკიოს მიმართ უკანონო მოქმედების გამო, უარი სთქვა ბრალდებაზე და სურვილი გამოსთქვა—დააკმაყოფილოს ყოველივე ფორმით. ალიოტის მოთხოვნით გარჩეული იქნება მურიკიოს საბუთები.

რუსეთი.

სევასტოპოლი. ოსმალეთის ოფიცერი იკმეტ-ბეი შეუდგა ოსმალთა მიერ ჩაფლულ განძის ძებნას. მისი აზრით ყირიმის ომის დროს სევასტოპოლის მახლობლად ოსმალებმა ჩაჰფლეს აბგა, რომელშიაც სამ მილიონზე მეტი ოქრო იყო.

კიევი. შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი სერედა, რომელმაც 1912 წლის შემდეგ ბევრი ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა.

ხარკოვი. პალატამ გაამართლა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტების ინსპექტორის თანაშემწე მაროზი, რომელსაც პროფესორ ბელანკინის მოწამვლა ბრალდებოდა.

ვილნა. დაბა როჟენტიკა გადაიწვა.

სარატოვი. ცეცხლმა ხუთი ნავთსადგური, საქონლის საწყობები და რამდენიმე გემი იმსხვერპლა. ცეცხლი გაჩნდა ვოლგა-კამის საზოგადოების გემზე.

აზოვი. ალექსანდროვის ვოლოსტში სეტყვამ 150,000 მანეთის ზარალი მიაყენა.

გომელი. ცეცხლმა გადასწვა სოფელი ტიხონოვიჩი. რამდენიმე კაცი დაიღუპა.

თეატრი და ხელოვნება

სახალხო თეატრი.

„დედინაცვალი“,—ტრ. რამიშვილის ახალი პიესა, 17 მაისს დადგმული.

(დასასრული*).

ტ. რამიშვილის ახალი პიესა „დედინაცვალი“ ჩვენი ცხოვრებიდან ამოგლეჯილ სინამდვილის ასლია და სწორედ იმდენად არის საგულისხმო და ძლიერი, რამდენადაც სინამდვილის ფარგალს არა სცილდება, როგორც შინაგანის ფსიხოლოგიურის, ისე გარეგანის მხრივ.

მუახნის კაცი, პატიოსანი, გულკეთილი, ალალ-მართალი ხელოსანი **ხარლამპე** მოიხიბლება „დედინაცვლის“ სილამაზით, ირთავს მას და მთელი 30 წლის ნაწვავ-ნადაგს მის სახელობაზე წინდაწინვე დაამტკიცებს. „დედინაცვალი“ მეტად ავხორცი, ამარი, რბილი ფეხის მანდილოსანია, რომელსაც პირველ და მეორე ქმრის დროსაც ჰყავს კურო **მალხაზი**, ყოვლად უსაქმური, ავყია, ღვარძლიანი და ავაზაკი ადამიანი. „დედინაცვალი“ ხარლამპეს შეხვედრამდე ამოუჟამნია მეორე ქმარი, რომლისაგანაც დარჩენია გერი ელიკო. ახლა ამ ობლის ხვედრ ქონების მონარიკლებაცა ჰსურთ დედინაცვალსა და მალხაზს. მწარე დღეში ამყოფებენ უწყლო ობოლს, ჯაფაში სულს ართმევენ, დაბრანძულ, ფეხებ-დამაშრულს აწანწალებენ სახლში თუ საქონელში, რომ სული ამოართვან, დაასნეულონ. „დედინაცვლის“ მეზობლები, ეკლესიის ბექობთან შეხიზნული მოლოზანი ელისაბედი და მაკრინე ამხელენ მას და გლეხებს, ყური უგდონ უმწეო ობოლს, მაგრამ სოფელი დაქსაქსულია თავის ყოველდღიურ ქაპანწყვეტაში ჩაბმული და არ ერევიან საქმეში. ობლის ხაწილობაზე ცოპარაპაშე „დედინაცვალს“ თან ახლავს პატრა ხითესავი ქალი მარო, რომელსაც ფუფუნებით თავს ევლება და ცივ-ნიავს არ აკარებს. მაგრამ, როდესაც ხარლამპე შედის ამ ოჯახში ზესიძეთ, სურათი იცვლება. ხარლამპე მოიწადინებს „დედინაცვლის“ ალაგმვას. იგი ობოლ ელიკოს გაატანს მის მამიდას მარიამს სხვა სოფელში, ფულს მისცემს და აღუთქვამს ობოლს თავისი წილი ქონება არ დაეკარგებაო. დედინაცვალი და მალხაზი ობლის წამყვანელებს მკვლელს დაადევნებენ, რომ გზაში დაჰხოცოს და ობლის ქონება მათ დარჩეს. დედინაცვალი ხარლამპეს გააცნობს მალხაზს, როგორც ნათესავს და მალხაზიც დღე-მუდამ შინაურულად ტაიარება მათ სახლში. ხარლამპე სოფლის ნდობა-სიყვარულს იმსახურებს, რის გამოც მას გაუმჟღავნებენ მალხაზისა და „დედინაცვლის“ კავშირს და წარსულს. ხარლამპე სახლიდან ითხოვს მალხაზს. დედინაცვალი აქეზებს მალხაზს ხარლამპეს მოსაკლავად. გადასწყვეტენ კიდეც ამ ვერაგულ საქმის ასრულებას.

ამ დროს სოფლის ცხოვრება იცვლება. მოძრაობის ხანაა. ხალხი არ ამართლებს სოფლის ბოროტ და მავნე პირებს. სოფლის დადგენილებით უნდა მოჰკლან მალხაზი. ღამე მოვლენ ხარლამპის ეზოში. მას გაუმჟღავნებენ ყველაფერს. ხარლამპე თვითონ მოიწადინებს მისი ნამუსის შეურაცხმყოფელის მოკვლას, მაგრამ გამოგზავნილი ტერორისტი ნებას არ მისცემს. ტერორისტი ჰკლავს მალხაზს, ხოლო „დედინაცვალი“ კი უნდა წარსდგეს სოფლის მსჯავრის წინაშე. ასეთია მოკლე შინაარსი ამ პიესისა, რომელიც საერთოდ ცოცხლად არის დაწერილი. დედა-აზრი პიესისა ასე შეიძლება გამოითქვას: სადაც ხალხი შეგნებული და თავისი ნებისყოფის უფალია, იქ ბოროტებას ადგილი არა აქვს.

აქ ნამდვილი თანამედროვე ცხოვრებიდან აღებული ტიპებია და მკაფიო ფერადებითაც არის დასურათებული მაგ. თვითონ **„დედინაცვალი“**, (ე. ციმაკურიძე) **ხარლამპე** მისი მესამე ქმარი (ა. იმედაშვილი) მეორე ქმრიდანდარჩენილი, გერი, ობოლი **ელიკო** (ა. კახელი) „დედინაცვლის“ ნათესავი, შვილად აყვანილი **მარო**, (თ. ყიფშიძე) დედინაცვლის კურო **მალხაზ უნგიაძე.** (ი. მინდიაშვილი), ელიკოს ბიბია **მარიამი.** (ბ. კორინთელი) და სხვანი. ხოლო სადაც კი ავტორი სინამდვილეს ჰღალატობს, შთაბეჭდილება ნელდება უგემურ განცდას იწვევს. მაგალითად ყალბი ტიპია ნიკო ომიანიძე, პირველ მოქმედებაში მეტის მეტად შტერი, შეშლილი, მესამე მოქმედებაში კი მეტად ჭკვიანი.

პირველი მოქმედება თითქოს ბურუსით არის მოცული, გაჭიანურებულია, და მაყურებელი რიგიანად ვერ ერკვევა საქმის ვითარებაში. შესაძლებელია ეს მოთამაშეთა ბრალიც იყოს, მაგრამ უფრო კი ავტორს ედება ბრალი.

გაჭიანურებულია ნიკო ომიანიძის მონოლოგი, მესამე მოქმედების ბოლოში და აგრეთვე მალხაზისა და დედინაცვლის თათბირი ხარლამპეს მოკვლის თაობაზე.

საჭიროა, რომ ავტორმა შეასწოროს, შეჰკუმშოს გაჭიანურებული ადგილები, პირველმოქმედებაში მკაფიოდ ჩაასკვნას პიესის კვანძი. მაშინ პიესა უფრო მთლიანსა და დასრულებულს სახეს მიიღებს.

დადგმის მხრივ პიესა ჩინებულად იყო მოწყობილი. მოთამაშეთა შორის ირჩეოდა ა. იმედაშვილი (ხარლამპე) რომელმაც თავის შეგნებულის, მიზან-შეწონილ და ღრმა აზრიანის თამაშით ხორცი შეასხა და სული ჩაუდგა მთელ პიესას. კარგი იყო ე. ციმაკურიძე დედინაცვლის როლში. მან მთლიანად დაგვისურათა ავტორის მიერ განზრახული ამარი, ავხორცა, ღვარძლიანი და ბოროტი ცბიერი და ძლიერის ნებისყოფის ქალის ტიპი. კარგად, ნირშეუშლელად ჩაატარა თითქოს უსიტყვო როლი ობლის ელიკოსი ა. კახელმა. მომხიბლავი და ცქრიალა რამ იყო მაროს როლში თ. ყიფშიძე. მე პირველად ვხედავ მას სცენაზე და მისმა სახემ გამახსენა სცენაზე ახალგაზდობაში ცოცხლად მოცქრიალე მ. საფაროვ-აბაშიძისა. ძლიერის სინამდვილით და გრძნობით ითამაშა მარიამის როლი ბ. კორინთელმა დ ბევრი მდუღარე ცრემლიც გამოსწურა მაყურებელთა თვალებს. კარგად შეასრულა ელისაბედ-მოლოზნის როლი ფ. არაბიძემ, თუმცა იგი გარეგნულად ნაკლებად ჰგავდა მოლოზნს. ავტორის მიერ ყალბ მდგომარეობაში ჩაყენებული ალ. მეტრეველი (ნიკო ომიანიძე) ცდილობდა დაესურათებინა ნაკისრი როლი, მაგრამ პიესის ავტორმა იგი იმდენად დასაჯა, რომ შეუძლებელს ვერ შესძლებდა. მ. რომანიშვილისა პირველ გამოსვლაზე მკრთალი იყო, მაგრამ როდესაც დედინაცვალს პირში

ეჭა, საჭირო სიცოცხლე გამო

ს. რუსიპირელი (ეთერო)

იყო თავისი როლისა.

ელიუზია შეჰქმნა პირ

ბაში მინდვრიდან

მუშათა ჯგუფ

საღამოს ი. მინდიაშვილი (მალხაზ უნგიაძე) აღმოჩნდა, განსაკუთრებით მესამე მოქმედებაში, როდესაც ხარლამპეს მოკვლის თაობაზე თათბირობენ ის და მისი საყვარელი (დედინაცვალი). პიესით მალხაზი უსაქმური, ავყია, დარდიმანდი, გაიძვერა, თავხედი, მკლავძე, ავაზაკი და ყოველ ბინწიერების ქურქულია, ი. მინდიაშვილმა კი ვერ შესძლო მისი განსახიერება. **ნ...**

---

*) იხ. „სახალ. გაზ.“ № 1145.

მოწერილი ამბავი

სოფ. მლეთი. (დუშეთის მაზრა) სოფლელები შეწუხებულია სახელმწიფო ტყეების დაკეტვით. ხელ ფიჩხს ზურგით ეზიდებიან დედაკაცები რამოდენიმე ვერსიდან, მაგრამ ესეც სასტიკად აღკრძალული აქვთ. სოფლელები ცოტა პურით საზრდოობენ, რის გამო სოფლებში გავრცელებულია ავადმყოფობა. წინედ სოფლელებს ცოტა მცლავითი ჰქონდათ. ბილეთით სხვა და სხვა ადგილებიდან ეზიდებოდნენ შეშას. ეხლა სოფლელებს ახალი პირობები გამოუცხადეს. ახალ პირობებში მუშაობა სოფლელებს არ ეხერხებათ. შეწუხებულმა სოფლელებმა დეპუტატები გაგზავნეს და საჩივარი აღძრეს მაზრის გამგეობის წინაშე. სოფლელების საჩივარი უყურადღებოდ დარჩა. 28 აპრილს მლეთში დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მოვიდა. სოფლელებმა თხოვნის მირთმევა გადაწყვიტეს, მაგრამ დამწერი ვერ იშოვეს და ფრიად დაღონებულნი დარჩნენ. დიდი ხნის დაკვირვების შემდეგ სოფლელები შეიმონენ და წვრილი სესხის ამხანაგობა დაიარსეს.

9 მაისს, მოვიდა წვრილი სესხის ინსპექტორი დ. ჩხეიძე. მოახდინა კრება და სოფლელებს განუმარტა წვრილი სესხის მნიშვნელობა. სოფლელებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ინსპექტორის სიტყვა და სურვილი განაცხადეს ამხანაგობის დაარსებაზე. ინსპექტორმა გახსნა ამხანაგობა, რომელშიაც წევრად ჩაეწერა 35 კაცი. წევრების ჩაწერის შემდეგ კრებაზე აირჩიეს გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრები. ამორჩეულმა კაცებმა საქმის წინამძღოლობა და მუშაობა უსასყიდლოდ იტვირთეს. კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებს და ადგილობრივ მოძღვარს ხ. რიმანიძეს, რომელმაც ამხანაგობას უსასყიდლოდ ოთახი დაუთმო. დღის 1 საათზე მოლაპარაკება გათავდა, ინსპექტორმა სოფლელებს მადლობა გადაუხადა და კრება დაიხურა. ფრიად სასიამოვნოა სოფლელების ეს კულტურული ნაბიჯი. იმედია ამას სხვაც მოჰყვება.

მთის ბუნება საუცხოვოდ აყვავდა და გამწვანდა. ტყედიდურად ახლად გაფოთლილი ტყით შემოსილი მთები კაცის თვალს ხიბლავს და იმედებს უღვიძებს. მინდვრებში გუთნები უხვად მოფენილია და სოფლელების მიერ მუშაობა გახურებულია.

დ. კარგარეთელი.

სოფ. ენისელი (კახეთი) სასიამოვნო მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში, სოფელი იღვიძებს, ირკვევა ბურუსიდან და შეძლის ავ-კარგის გარჩევაში. სამიკიტნოების რა მნიშვნელობა აქვს სოფლად ეს ყველამ კარგად ვიცით, აქ ეჩხუბება სოფლის კეთილდღეობას ოთხას ბადე, სადაც შეუმჩნევლად ყველა მიგ ეშმება.

ამისათვის სასიამოვნო ამბავი მოგვივიდა ენისელის მცხოვრებთაგან ზომების მიღება მედუქნეების წინააღმდეგ.

ჯერ ისევ წარსულ წლის 8 დეკემბერს ენისელელებმა შეადგინეს განაჩენი და ოთხი კაცი ამოირჩიეს, რომელთაც მიანდეს საქმის შესრულება. ეს განაჩენი რომ კანონიერი ყოფილიყო მოძრიგებელ მუამავალსაც შეამოწმებინეს. ამხაირად ნება აღარ მისცეს 1 იანვრიდან ევაჭრათ.

რასაკვირველია, ეს ამბავი არაფრად ეჭაშნიკათ მედუქნეებს და მათ შორის უფრო შეძლებულ იაგოროვებს, რომელთაც მთელი სოფელი ხელში უჭირავთ და დაიწყეს მოქმედება ამორჩეულთა წინააღმდეგ. სოვაქრეებმა მიჰმართეს თავიათ ხ

თ ლ იძიცეს, ეს უკანასკნელიც

რიალ დნენ, ამით სხვები მეი

წინედ თუ განაჩენი დაარ

ლა თვითონვე გაიძახოდ

დოებისათვის ხელსაყ

დვინო-არყის ვა

სხვა არა იყოს

ეკანგეპთო

აღლკადნე

სოფელ

ზო

აღარ ერიდებოდნენ ჩუმ-ჩუმად. პირველში ამ გარემოებას ისეთ ყურადღებას ვერ აქცევდნენ, უფრო-კი იმისთვის რომ ამორჩეულთაგან სამნი უფრო ვერა ჰხვდებოდნენ, ხოლო მეოთხე სოფლის მწერალი ვ. ხოსროშვილი მარტოკა ვერა კისრულობდა მათ შებრძოლებას, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო ოქმი შეედგინა იაგოროვებისათვის ჩუმად ვაჭრობაზე. ამან მედუქნეები დიდად გააბრაზა და დაასმინეს ვინც ჯერ არას, რომ ვ. ხოსროშვილი არაყს ინახავს სახლში; მართლაც ხუთიოდე ვედრა არაყი. აღმოაჩნდა, რის გამოც ჯარიმას გადაახდევინებენ. ეს რომ სოფელმა გაიგო შეიკრიფნენ და კიდევ სურვილი გამოსთქვეს ვაჭრობის ნება აღარ მიეცათ, მხოლოდ ხოსროშვილს შეჰპირდნენ ჯარიმის გადახდაში შეგეშველებითო...

ამნაირად სწარმოებდა ბრძოლა ენისლის მცხოვრებ და მედუქნეებ შორის. რით გათავდა საქმე სწორედ აღარ ვიცი, მხოლოდ გადმომცეს იაგოროვებმა ისევ ვაჭრობა დაიწყესო.

ლი.

ხოფ. ატენი (გორის მაზრა). წვრილი სესხისა და სამეურნეო ამხანაგობის დაარსება ისეთსავე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, სოფლისათვის როგორც სასწავლებლის. თუ უკანასკნელი სოფელს გონებრივად სწევს წინ, ეს ამხანაგობანი ქონებრივად ზურგს უმაგრებს გლეხებს. ამიტომ ჩვენმა გლეხმა, თუ უნდა სიღარიბეს და ათასგვარ მოვახშეებს თავი დააღწიოს, აუცილებლად უნდა დაარსოს ზემოხსენებული ამხანაგობა. ამ ბოლო ხანებში თითქმის ყველამ შეიგნო ეს და ჩვენ სოფლებში დაარსეს, რაშიაც არც მოსტყუვდნენ. ერთად-ერთი ცხოვრების სალსარი ატენელებისა მევენახეობაა. ესეც ჩალის ფასად წვრილ მოვაჭრეებს და ცოტა ფულიანებს უვარდებათ ხელში; ვენახებიც ძალიან ნაკლებად აქვთ. ზოგს ნახევარი დღისა, ბევრს დღიური და ძალიან ცოტაა, თუ ვისმე მეტი ჰქონდეს. სახნავი ძალიან ცოტაა და ისიც შოშნევისაკენ და მთებშია ურწყავი. და თუ ზედ წყლისაგან მოყენებული ზარალიც დაერთო, რაც ხშირი მოვლენაა, ადვილი მისახვედრია, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ქონებრივად აქაური გლეხი.

ცხადია გლეხს ფული ხშირად დასჭირდება, რომ შეავსოს თავის ოჯახის ნაკლი და დღეს დღეობით იოლად გამოვიდეს. ამიტომაც აგირავებს თავის ერთად-ერთს მარჩენელს ვენახს და ისედაც დაქვეითებულს ოჯახს ამ უკანასკნელით ძირს უთხრის. ეს დაგირავება მეტად სამძიმოა, რადგანაც მოგირავნემ, რაც მოუვა გლეხს, ტკბილად უნდა წაიღოს კოკა სამს მანეთში. ახლა რამდენია იმისანა, რომელიც გაჭირვების გამო ხუთს—რვა კოკა ტკბილს ჰყიდის უწინვე სამს-ოთხს მანეთში. მოგირავნემ და წინად დამკვეთმა ღვინო უნდა გაჰყიდოს თუმნად ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, ცხრა მანეთად. ასე რომ ამ სოფლის მოვახშეებს კოკაზე ანუ სამს-ოთხს მანეთში ხუთი მანეთი რჩებათ. და განა ამაზე უარესი გაყვლეფა ადამიანის კიდევ შეიძლება?! სწორედ სამწუხაროა. ვინც შრომა და ჯაფაშია, იმას არაფერი აქვს და ვინც ცოტაოდენი ფულით და პირადის გამდიდრების გრძნობით არის შეიარაღებული, იმას ორმოც-სამოც კოკობით უდგა ქვევრებში ღვინო.

ახლა ვიკითხოთ, თუ რა მდგომარეობაშია გლეხი აქაური ვაჭრებისაგან?

ატენელები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აქაურს საწვრიმალო დუქნებს, სადაც ძალიან ნაკლებად მოიპოვება გლეხისათვის საჭირო საქონელი, მთლად გორელი მედუქნეების ხელშია. ეს დუქნები გორის სადგურის პირდაპირაა და თითქმის განსაკუთრებით გლეხებისათვის არის გახსნილი. მასთანავე სამიკიტნოები, ც ბევრი მაღარიჩები იცლება, ის, სულ უბრალო ნავაჭრზე-

თისიერ ვაჭრობაზე არა-
მოვიყვან მხოლოდ
რომლისაც მეც

ლად გაჭე-
მედუქნე
ირთის
ტა

მეყიდა და რაკი მეძვირა, დავანებე თავი".

მედუქნე გაჯავრდა. „როგორ, კიდეც უარს ამბობ! აი აქ შენზე სწერია" და აჩვენა დავთარი. „რა ვქნა, ეფიცება გლეხი, მე არ წამიღია და არც სახლში მიმიტანია, თორემ „ლაფატკასათვის" როგორც გავიშავე პირსა"-ო. ბოლო იმით გათავდა რომ მედუქნემ, როგორც ყოველთვის, არ დაუჯერა გლეხს და უკანასკნელი კი აღელვებით გამოვიდა გარედ. მასთან მეც წამოვედი. გზაზე საწყალს არ უსვენებდა გული. „განა იქამდის უსვინიდისო გავხდი, რომ იმის „ლაფატკაზე" უარი ვსთქვა!!.. რამდენი ამისთანა დამამცირებელი შემთხვევა ექნება გლეხს, თუ თავის თავს თვითონვე არ უწამლა და რამე მალამო არ გამოუნახა. ყველა ამ ნაკლის ასაცილებლად საჭიროა შეკავშირება, საერთო ძალით საქმის გაძღოლა. ნათქვამია სადაც ერთი უძლურია, იქ სოფელი ღონიერიაო. ჩვენც ატენელებმა შევიგნოთ ეს. დავაარსოთ წვრილი კრედიტის და სამეურნეო ამხანაგობა. პირველიდგან ჩვენ ავიღებთ სესხად ფულს შეღავათიან პირობებში და ჩვენგნით გაღებული სარგებელი მოხმარდება ჩვენსავე საჭიროებას. მეორე, სამეურნეო ამხანაგობა მოგვაწვდის ჩვენთვის საჭირო საქონელს საღს, უკეთესს და ნაკლებადაც სხვებზე. სარგებელი კი ორსავე ამხანაგობისა ბოლოს ისევ სოფლის საჭიროებას მოხმარდება.

საჭიროა ეს შევიგნოთ ყველამ და სოფლის გაგებულმა ნაწილმა თავს იდვას ეს კეთილი და ფრიად სასარგებლო საქმე.

ლავრენტი ბარნაბიშვილი.

რუსეთი

რ. მალინოვსკის წერილები.

ყოფილ დეპუტატის მალინოვსკის ამხანაგებმა გამოაქვეყნეს „პუტ. პრ." მალინოვსკის ორი წერილი.

პირველ წერილში, რომელიც წასვლის დღეს არის დაწერილი, სწერს:

„ამხ. პეტროვსკიმ მე შემდეგი კითხვით მომმართა, თუ რად განვაცხადე უარი სახ. სათათ. წევრობაზე. მე მგონია, რომ ისე ნათელია ყველასათვის, რომ მაზე არც კი ღირს ლაპარაკი. მაგრამ რადგან თქვენთვის ეს გასაგები არ არის, ამიტომ მზადვარ დაწვრილებით დავასახელო ჩემი წასვლის მიზეზები.

მას შემდეგ, რაც დეპ. ჩხეიძე პასუხისგებაში მისცეს და სკობელევი გაასამართლეს და მისი მაშინვე გაცემა მოითხოვეს, ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ენერგიულად ებრძოლოს სოც.-დემოკრატებს სახ. სათათბიროში და მაშასადამე, თუ ეს ასეა, მთავრობის საწინააღმდეგო იარაღიც უფრო მკაცრი უნდა იყოს.

22 აპრილის სათათბიროს დემონსტრაცია, ჩემის აზრით, იყო სწორი და შესაფერისი, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ლოღიკური შედეგებიც. მაგრამ არიან ისეთი ხალხი, რომელიც ლოღიკას ანგარიშს არ უწევს და როცა ჩვენ უარი ვსთქვით აქტიურ მუშაობაზე, (თავის საარჩევნო ოლქებში დაბრუნებაზე), უარი ხალხისადმი მიმართვაზე, უარი აქტიურ ბრძოლის გაგრძელებაზე და 7 მაისს დაუსჯელად სიტყვის წართმევამ, სტენოგრაფიულ ანგარიშების დაბეჭდვაზე უარის თქმამ და სხვა ასეთებმა დამარწმუნეს, რომ სათათბიროში დარჩენა არა ღირს.

ჩვენი ამხანაგების პარლამენტს გარედ ბრძოლაზე უარის განცხადებამ, განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც აღარავითარ ანგარიშს აღარ გვიწევენ, მოჰკლეს ჩემში ყოველგვარი სურვილი სათათბიროში დარჩენისა.

მე მეუბნებიან: ყოფილიყავი სათათბიროს უკანასკნელ სხდომამდის და ბევრი რასმეს გაკეთება შეგეძლოო, თუ კი არ ძალმიძს, თუ კი მე მთელი სათათბირო მძაგს, თუ კი არ მწამს მისი მუშაობა და მნიშვნელობა და სხვა,—მაშინ რადა საჭირო ვარ, ან ვის რად უნდივარ.

ვარწმუნებ ერთში ამხანაგებს, რომ ამის შესახებ მე ბევრი ვიფიქრე, მე მესმის, რომ ეს ჩემთვის პოლიტიკური თვითმკვლელობაა. მიუხედავად ამისა არ ძალმიძდა სათათბიროში წავსულიყავი და სიტყვები მეთქვა. ჩემი ამხანაგებისთვის შეუძ იბელი გახდა სათათბიროს გარედ ობა. ჩემთვის კი სათათბიროში. რჩენია მე გარდა წასვლისა, ც ჩავიდინე.

P. S. მეტის თქმა აღარ ძალმიძს, რადგან გაჯავრებული და აღელვებული ვარ. შეასწორე და მოათავსე თუ საჭირო იქნეს. თუმც პეტროვსკის სიტყვებიდან სულ სხვა რამეს გაგება შეიძლებოდა. გლახად ნუ მომიხსენებ, მაპატიეე, ბოდიშს ვიხდი, რომ არ გამოგეთხოვე და ისე წავედი, მაგრამ არ ძალმედვა. რომანი.

8 მაისი.

მეორე წერილი, ამხანაგებისადმი მიწერილი „ღია ბარათი":

ერთმა კვირამ გაიარა მას შემდეგ, რაც დეპუტატობას თავი დავანებე. დამშვიდებული სინდისით ვამბობ, ასეთი ნაბიჯი სხვას რომ გადაედგა, როგორიც მე გადავდგი დი ისიც ასეთ ფორმაში, მას უფრო მკაცრათ გავასამართლებდი, ვინმე მე მასამართლებენ ამხანაგები და პეტერბურგისა და მოსკოვის მუშები. მე უკვე ვგრძნობ, როგორი მომაკვდინებელი ნაბიჯი გადავდგი.

ვის შეუძლიან ჩემი გამართლება, და განა ან მე თვითონ ვიკისრებ ამას? მაგრამ ერთს ვსთხოვ ამხანაგებს, რომ ჩემი განსჯის დროს, მიიღონ მხედველობაში ის პირობები, რომელშიაც მუშაობა მიხდებოდა; აგრეთვე ისიც, რომ მე ადამიანი ვარ. შეიძლება ჩემი გასამართლებაც და გაკიცხვაც, მაგრამ ჩაწიხვლა იმ ადამიანის, რომელმაც უკვე ნაურათ მოიკლა თავი, მეტის მეტი სიმკაცრეა.

ერთათ ერთი, რაც მანუგეშებს, ამ ჩემთვის საშინელ წამს, ის არის, რომ რუსეთის პროლეტარიატი განაგრძობს თავის ბრძოლას რ. სოც. დემ. მ. ფრაქციასთან. მას გულით და სულით ვუსურვებ გამარჯვებას ამ მძიმე საპასუხისმგებლო პოსტზე. **რ. მალინოვსკი.** 15 მაისი. (აზრი)

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში ადგილი მისცეთ ქვემო აღნიშნულ წერილს. ქ. შ. წერა-კითხვის გ. ს. ოჩემჩირის განყოფილების გამგეობა უღრმეს მადლობას უძღვნის მღვდელს ბართლომე ხარებავას, რომელმაც განყოფილების სამკითხველოს სასარგებლოდ შემოსწირა რვა გვირგვინი, მიძღვნილი ამხანაგებისაგან უდროოდ გარდაცვალებულის მისი ძის ემელიან ხარებავასადმი. (რომელიც გაიყიდა 40 მანეთ.) ადგილობრივ ექიმს მ. ს. არჯევანიძეს ლ. ტოლსტოის სრული თხზულების შემოწირვისათვის და სილოვან ბოჯგუას, რომელმაც შემოსწირა 9 გვირგვინი, გარდაცვალებულის მისი მეუღლის ნინო დოლბაიას ასულის დასაფლავების დროს მიღებული.

გამგეობის თავმჯდომარე
თეოფ. ხუსკივაძე.
მდივანი **ბ. ჟორჟოლიანი.**

ვთხოვთ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

შემოწირულება

1 ივნისის სეირნობისათვის ქ. შ. წ.-კ. საზ. გამგეობას შემოსწირეს ნივთები შემდეგმა პირებმა:

ვასილ ბერელაშვილმა 30 ბოთლი ღვინო, სოლომონ ჟორჟოლიანმა 10 ბოთლი ღვინო, ნიკო პეტრ. ჩიტოშვილმა 15 ბოთლი ღვინო, მ. ელაღიძის ამხანაგობამ 50 ბოთლი ლიმონათი, იოსებ ელიას ძე ჩიტოშვილმა 20 ბოთლი ღვინო, რაჟდენ მირინაშვილმა 30 ბოთლი ღვინო, ილია გლახ. დურგლიშვილმა 1 ტიკჭორა ღვინო, ე. ა. აკოპიანცმა 1 ალბომი და 1 ფიგურა(1 მ. 30), მიხეილ აბაშიძემ 1 მოქარგული ზედაწელი, (5 მ.) ძმ. ფორაქიშვილის მაღაზიამ 1 პატ. ხალიჩა ბლუზა, ორი თოფი „სარპინკა", ალ. ბერიშვილმა 1 ქუდი, ნიკოლ. იოსებ. იოსებაშვილმა 1 „მორეს" ქვედატანი, ალ. შიოშვილმა 1 გაზის ბუა და $1/2$ „გროსი" (დუჟინი) ლილი, კონსტანტ. ფარცხალაძემ 2 ქუდი ქალისა და 1 კაცისა, ილ. დავ. მამულაიშვილმა 2 პირსახოცი, ძმ. ძიგველაშვილებმა 4 ცალ. კონსერვი, გრ. გ. საგანელიძემ ნამცხვარი ღირებული 5 მ., გიორგი ჯიშკარიანმა 1 ქუდი ქალისა, ლევან ალიმბარაშვილის თეთრეულის სახელოსნომ ოქრომკედით ნაქარგი აბრეშუმის ერთი წყვილი ქალის საცვლეში 1 პერანგი და მისი ალერსი, კონსტ. მიხ. ლაზარეშვილმა 20 ცალი კიტრი, ალექ. გრ. უგუზაშვილმა ერთი ფეხი ლორი, ბართლ. კილაძემ ოცი ცალი ჰეინეს ლექსები ღირებული 12 მ., აქვს. ივ. ჯანგველაძემ ორი ცალი ვერცხლის ბეჭედი და 2 ჯვარი, არშაკ ნიკოლ. აკოფოვმა 2 წყვილი ბალიშის პირი (ნაქარგი), ჰავჰანიძე და გველესიანის მაღაზიამ: ორი წყვილი ქალის ფეხსაცმელი, 3 ყუთი ფოლაქი, 3 დუჟინი ყელსაკ. (გალსტუკი), 2 კორსეტი, 3 „კოლოფი, 1 დუჟ. საპონი, 5 მარამ, 8 ცალი კაბისა და თავის მოსართავი, 3 რედ. და 3 ქამარი, ალ. ეგნატ. ცომაიამ ერთი ვერცხლის პატარა ლიტრა, 1 პატარა მოჭედილი ყანწი. დავით აბრ. გოგიჩაძემ 2 ვერცხლის სამარილე.

რედაქტორი **ნ. ქურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ს. ა. გრიაზნოვი
ამზადებს
გიმნაზიის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლის დაბალ, საშუალო და მაღალ კლასებისათვის, სამხედრო და მიწის-მზომლის საწ. პირველ კლასისთვის და სხვა და სხვა მოწმობებზე. იყვანს სრულ პანსიონზედაც. ვერა, იზმაილოვის შესახ. (ბელინსკ. ქუჩიდან). № 6 მესამე სართული 365

გონორეის წინააღმდეგ
(ხუსუნატი)
ახალი წამალი
„SALO პიჩილინ"-ი,
მოქმედებს სწრაფად და არსებითად, ექიმების აზრით, რაციონალურ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა და ღირს თითო 1 მ. და 1 მ. 80 კ. ერთნაირად კარგად მოქმედებს გაძნელებულ და ქრონიკულ ავადმყოფობის დროს და მოკლე ხანში აჩერებს ძლიერს მდინარეობას.
Депо: Петербургъ, разъѣзжая, № 7, аптека Б. Конгейма.
ისყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. 1160

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვერონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606" და „914"
11—12 ს. შ ე შ ხ ა პ უ ნ ე ბ ა
კონსულტაციურად.
ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავადმ.
ბ. გ. ბახსაროვი: 1—2 ს. შინაგანი ავადმყ.
ზ. ა. ნ ანანაშვილი: 10—11 ს. საშვილოსნო ქალებისა შინაგანისა.
გ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი სნეულებანი და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ო. ფ. ტერ-დავიდოვისა 1—2 ს. ბავშვების და ქალების ავადმყ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ბეგთაბეგოვი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1071 დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.

ექიმი გ. მუხელიშვილი მიიღებს ავადმყოფ. დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით ინჟ. გ. ნ. ვინოგრადოვის
ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსებთან
არსდება მოსამზადებელი კურსები საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებში და ყველა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. სპეციალურად მომზადება სამიწისმზომლო და სამხედრო სასწავლებლებისა და საოსტატო ინსტიტუტში. კურსების კანცელარიაში ცნობების მიღება შეიძლება დღის 9—12 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.
1207

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმავე ხარისხის
საქონელი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

იშვიათი ვაჭრობა
იშვიათი ვაჭრობა
პარიზული მაღაზია
შეკერილი ტანისამოსისა
ძმ. საფარიანცისა და ტერ-სააკოვისა
მხოლოდ 12 დღით
ნამდვილი უდიდესი იაფი ვაჭრობა
მაღაზიაში არსებულ ყველა საქონლისა
მოდელები: პირველ-ხარისხოვან საზღვარ-გარეთის ფირმებისა
(ასლის გადაღების მერე დარჩენილები),
ყოველგვარ ჯურისა და ფასონისა
იყიდება თითქმის ნახევარ ფასად.
ფასები აღნიშნულია იარლიკის მეორე მხარეს ფერადის კარანდაშით და
უცვლელად შეუვაჭრებლად.
გოლოვინის პროსპ., სამხედრო ტაძრის პირდაპირ. ტელეფ. № 2—58.
მხოლოდ 12 დღით
მხოლოდ 12 დღით
მხოლოდ 12 დღით

ტფილისი, სტამბა „შრომა", მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.